MES 0 20 0000980989

13/10/2020

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

ახალი კორონავირუსის (COVID-19) შესაძლო გავრცელების პრევენციისა და უსაფრთხოებისათვის საბჭოს სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში **2020 წლის 02 ოქტომბერს.**

სხდომის დაწყებამდე 10 წუთით ადრე ცენტრის ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა ბმული, საიდანაც ყველა დაინტერესებულ პირს შეეძლო საბჭოს სხდომაზე ონლაინ ჩართვა.

Join Zoom Meeting
https://us02web.zoom.us/j/81904155931
Meeting ID: 819 0415 5931

საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ:

პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს (შემდგომში საბჭო) წევრები:

მარიამ ქუჩულორია - ა(ა)იპ - ევროპული ბიზნეს ასოციაციის გენერალური დირექტორის მოადგილე (საბჭოს თავმჯდომარე);
გიორგი გამყრელიძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითრების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის შრომის ბაზრის ანალიზის სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);
გიორგი ვეკუა - სსკ - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მომსახურებისა და რეგიონული განვითარების დეპარტამენტის დირექტორი (საბჭოს წევრი);
ქრისტინე მეფარიშვილი- სსიპ-აწარმოე საქართველოში ინვესტიციების დეპარტამენტის უფროსი (საბჭოს წევრი);
ნინო ტალიაშვილი - დამოუკიდებელი ექსპერტი(საბჭოს წევრი);
თამაზ ბახტაძე -საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის პროფესიული განათლების სამმართველოს უფროსი (საბჭოს წევრი);

ნათია კვიციანი - მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის (IOM) პროგრამების ადგილობრივი ექსპერტი (საბჭოს წევრი);
თორნიკე ჯობავა- სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ,,ინტერნეტი განვითარებისთვის“ პროგრამის კოორდინატორი (საბჭოს წევრი);

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ნანი დალაქიშვილი- პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლანა გაჩეჩილაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი
მაყვალა დარსანია - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
მაია აბდალაძე - პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

იურიდიული პირების წარმომადგენლები:

ა(ა)იპ ,,კრაფტს დრინქს სქულ რირავო”:
გიორგი თევზაძე - დირექტორი

შპს ,,ქართული ღვინის გილდია”:
თამარ ხომასურიძე - თანადამფუძნებელი

პროფესიული მომზადების პროგრამებისა და პროფესიული გადამზადების პროგრამების ექსპერტი:
თეა მახათელაშვილი

საბჭოს სხდომა დაიწყო 16:00 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარე მიესალმა საბჭოს წევრებს, დაწესებულებების და ცენტრის წარმომადგენლებს და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა, დაადგინა: რადგან სხდომაზე წარმოდგენილია საბჭოს წევრთა სრული შემადგენლობის ნახევარზე მეტი, ,,პროფესიული მომზადების პროგრამისა და პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვებისა და სახელმწიფოს მიერ აღიარებულად ჩათვლის წესისა და პირობების დამტკიცების თაობაზე“ - საქართველოს მთავრობის 2019 წლის 15 მარტის №131 დადგენილების (შემდგომში №131 დადგენილება) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, შეუდგეს მუშაობას. თავმჯდომარემ ასევე შეახსენა საბჭოს წევრებს, რომ №131 დადგენილების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს წევრი უფლებამოსილი არ არის, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

საბჭოს მდივანი, მარიკა ზაქარეიშვილი, ვერ დაესწრო სხდომას, საბჭოს თავმჯდომარემ №131 დადგენილების მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საბჭოს მდივნის მოვალეობის შესრულება დაავალა საბჭოს წევრ ნინო ტალიაშვილს.

მიღებული იქნა საბჭოს მონაწილეთა ერთობლივი ნებართვა საბჭოს სხდომის აუდიო ჩანაწერის წარმოებაზე, რომელიც ოქმის პროექტის შედგენის შემდეგ რეგულაციის მიხედვით, განადგურდება, და ასევე, ნებართვა მონაწილეთა ერთობლივი ფოტოს გადაღებაზე.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოსთვის - „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოების“ /00829/ პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: თეა მახათელაშვილი, მაია აბდალაძე
2. შპს - „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: თეა მახათელაშვილი, მაია აბდალაძე
3. შპს - „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;
წარმდგენი: თეა მახათელაშვილი, მაია აბდალაძე

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა არ იყო.

1. ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოსთვის - „ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოების“ /00829/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა. საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ ელექტრონულ სისტემაში წარმოდგენილ განაცხადს. პროგრამას და საბჭოს აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აპარატის მიერ მომზადებულ დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდნენ დასკვნას.

დასკვნის პრეზენტაცია წარადგინა ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა. მან აღნიშნა, რომ 2020 წლის 16 სექტემბერს განხორციელდა ვიზიტი ა(ა)იპ კრაფტ დრინქს სქულ რირავოში, მისამართზე- მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამო, ილიას უბანი, პროგრამის ,,ხელნაკეთი ალკოჰოლური სასმელების წარმოება“ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. პროგრამა არის გადამზადების, ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე - მეოთხე,

პროგრამის ხანგრძლივობა - 4 კვირა, სწავლების ენა - ქართული, მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში - მინიმუმ 7 და მაქსიმუმ - 15, მოთხოვნილი რაოდენობა - 15, პროგრამის განხორციელების ადგილი - მცხეთის მუნიციპალიტეტი, საგურამო, ილიას უბანი.

ვიზიტის დროს, ადგილზე დათვალიერდა პროგრამის განხორციელების მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, შემოწმდა ადამიანური რესურსის პირადი საქმე, მოხდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან და დოკუმენტაციის გაცნობა. ხარვეზი არ გამოვლენილა, თუმცა იყო გარკვეული **რეკომენდაციები**:

1.8 მეთოდურად სასწავლო თემები მიეწოდოს ,,თემების გამსხვილებით", რაც შედეგზე გასვლას შეუწყობს ხელს. განაცხადში გაბნეულია მცირე ტექნიკური შეცდომები, რაზედაც სიტყვიერი განმარტებები გაკეთდა ორგანიზაციის მხრიდან ვიზიტის დროს და რეკომენდაციის სახით გაწერის საჭიროება არ გაჩნდა. მაგალითად, 1.4 დაშვების წინაპირობებში: ფრაზაში ,,სასმელებისა და სასურსათო პროდუქტების წარმოების გამოცდილება" იგულისხმებოდა ,,და/ან", ასევე, ,,სხვა შედეგებში" გაწერილია შედეგი-,,ნაყენების დამზადება მაგარი ალკოჰოლური სასმელების დამზადებისათვის", რომელიც კვირების მიხედვით გაწერილ შედეგებში არ იკითხება; ასევე საკითხთა მექანიკური განმეორება და ა.შ;

1.10 შეფასების სისტემაში გაიწეროს შეფასების ინდიკატორები, რა შემთხვევაში ჩაითვლება პროგრამა დაძლეულად, პრაქტიკული დავალების შესრულების ინდიკატორები, ასევე, დაზუსტდეს გამოკითხვები მოხდება წერილობით თუ სიტყვიერად;

2.1 შეივსოს პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის პირადი საქმეები კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომებით, სერტიფიკატებით, ხელშეკრულებებით (წარმოდგენილია მხოლოდ CV - ები);

2.2 გატარდეს საჯარო რეესტრში შპს „ქართული ლეგენდა"-სთან გაფორმებული იჯარის ხელშეკრულება;

2.3 პროგრამის სასწავლო რესურსების უმეტესობა არის ინგლისურ ენაზე. რეკომენდაცია მიეცათ, ითარგმნოს და ორგანიზება გაუკეთდეს სასწავლო რესურსებს, ასევე, პროგრამაში ჩაერთოს ის ქართულენოვანი წიგნები, რომელთა არსებობაც ადგილზე დათვალიერებით და ფოტოებით დასტურდება.

საბჭოს თავმჯდომარემ თავისი მოსაზრება დააფიქსირა იჯარის ხელშეკრულების რეესტრში გატარებასთან დაკავშირებით. იქიდან გამომდინარე, რომ ძირითადად საჯარო რეესტრის კანონის ამ მუხლის ჩანაწერის მიზანია საგადასახადო მიზნებისთვის მოწესრიგდეს საიჯარო ურთიერთობები, უზენაესი სასამართლოს მიერ შესაბამისი რეკომენდაცია გაიცა. ამიტომაც მას არ მიაჩნია სავალდებულოდ იჯარის რეგისტრაცია, რადგან იჯარის ხელშეკრულება ისედაც არის იმის დასტური, რომ მათ შორის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს. ეს ერთ საკითხთან დაკავშირებით, დანარჩენებზე დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა განმარტება. მეტად მნიშვნელოვნად გამოყო საკითხი ინგლისურენოვან სასწავლო რესურსთან დაკავშირებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა, გიორგი თევზაძემ აღნიშნა, რომ ამ ჩამოთვლილ რეკომენდაციების გარდა, ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი კონსულტაციები მიიღო ექსპერტისგან, რადგან პირველად აკეთებს და ერთვება იმ რეალურ საქმეში, რასაც ჰქვია პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვება და ამ კურსის წარმართვა. მან ისაუბრა, რომ 1996 წლიდან არის ჩართული ამ სფეროში. აგრარული უნივერსიტეტის ბაკალავრის პროგრამის

დამთავრების შემდგომ, 1996 წლიდან მუშაობს ღვინის კომპანიებში. პრაქტიკული საქმიანობები და სწავლებები, ასევე, სამაგისტრო პროგრამა გაიარა ამერიკის შეერთებულ შტატებში. 2013 წელს კომპანიამ ,,ქართული ლეგენდა", საგურამოს ბაზაზე შექმნა დისტილერია, ანუ სახდელი მარანი. მე-19 საუკუნეში ამას ძალიან დიდი ტრადიცია ჰქონდა და ფაქტიურად იმ კულტურის აღდგენა დაიწყო ახლა, რაც დიდი ხანი დაკარგული იყო. უკვე საწარმოო სიმძლავრეები იმ დონეზე გაიმართა, რომ ბევრ დაინტერესებულ პირს ფაქტიურად პრაქტიკულად აჩვენებენ და ასწავლიან როგორ ხდება სხვადასხვა ხილის, მარცვლოვანი კულტურების, ასევე ყურძნისეული ჭაჭის და ა.შ. გამოხდა. ყოველივე ამან მიიყვანა ამ იდეამდე და აზრამდე, რომ მოწესრიგებული ფორმა მიეცათ ამ სასწავლო პროცესისთვის, სწორედ ამიტომ წარმოადგინეს განაცხადი პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების მიზნით.

რაც შეეხება რეკომენდაციებს და ინგლისურენოვან ლიტერატურას, აღნიშნა, რომ იგი 5 წელი ამერიკაში ცხოვრობდა სასწავლო მიზნით, ასევე, ამ პროგრამის განმახორციელებელი 4 ლექტორი ჰყავთ, რომელთა შორის ერთი გერმანიაში ცხოვრობს, უდიდესი გამოცდილება აქვს ლუდსახარშის დისტილერიის კუთხით და იქ კითხულობს ლექციებს, ჯერჯერობით ტერმინოლოგია გამოხდასთან, სახდელ აპარატურასთან დაკავშირებით და პროცესებთან მიმართებით ცოტა მწირია და მეორეს მხრივ, ადამიანებს, რომლებიც ამ საქმეში ერთვებიან, აუცილებლად მოუწევთ კავშირი დარგობრივ სხვადასხვა ლიტერატურასთან, ეს იქნება ბეჭდური სახით თუ ელექტრონული მასალა და ეს ყველაფერი ინგლისურად არის. აქედან გამომდინარე, ასევე თავის პრეზენტაციებში, როდესაც კითხულობს ლექციებს, ხმარობს ტერმინებს ინგლისურ ენაზე. სასწავლო ლიტერატურად იყენებს სხვადასხვა საიტიდან ლინკებს და ,,Handouts'', ინგლისურენოვან მასალებს, რასაც აწვდის მსმენელებს, რომელიც ნაბიჯ-ნაბიჯ აძლევს ადამიანს საშუალებას სწორად გაიგოს ეს პროცესები. თვითონაც იყენებს ამ ლიტერატურას და ჩათვალა, რომ ეს სასარგებლოა და პირიქით მისასალმებელი, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ ქართულად არ კითხულობს ლექციას და არ აწვდის მსმენელებს მასალებს ქართულ ენაზე. ,,Handouts" და წიგნსაც აპირებს თარგმნოს მთლიანად ქართულ ენაზე, რადგანაც უნდათ ჰქონდეთ ორენოვნად და სრულყოფილად შეეძლოთ მსმენელებს ამ მასალის გამოყენება. ჯერჯერობით, ასეთი პროფესიონალური წიგნები ალკოჰოლური სასმელების გამოხდის თემატიკაზე, ჯერ არ არის საქართველოში დაწერილი.

რაც შეეხება განმახორციელებელი პირების კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტაციას, რეზიუმეები წარმოდგენილია. ერთ-ერთ შემთხვევაში, პირს გერმანიაში დაუკარგეს სერტიფიკატი და საბუთები და ახლა გერმანიის მთავრობა უკეთებს აღდგენას. ამ ადამიანს დაახლოებით 12 ლუდსახარში აქვს აშენებული გერმანიაში, ორ დისტილერიაში აქვს ნამუშევარი და დღემდე არის ამ საქმეში ჩართული. აქედან გამომდინარე, ჩათვალა, რომ მისი რესურსი იქნებოდა ძალიან საინტერესო და აუცილებელი პროგრამის განხორციელებაში ჩართულობისთვის. ეს პირი ასევე იცნობს დარგის რეგულაციებსაც გერმანიაში, თუ რა თანამედროვე მიდგომებია და გააცნობს მსმენელებს. აქედან გამომდინარე, პროცესი მიმდინარეობს, ის შეძლებს ამ დოკუმენტების აღდგენას და გამოაგზავნის.

იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციას რაც შეეხება, ჩანიშნულია შეხვედრა 7 ოქტომბერს და ამ ხელშეკრულების დარეგისტრირება მოხდება. დაწესებულების ხელმძღვანელმა ასევე ახსნა, რატომ ჰქონდათ დეტალურად ჩაშლილი საკითხები პროგრამაში. პროგრამას აქვს 4 შედეგი და ისწავლება 4 კვირის განმავლობაში. თითოეული კვირა ეთმობა სხვადასხვა ტიპის ალკოჰოლური სასმელების წარმოებას, თუმცა არის შემთხვევები, როცა ერთი - მეორეს კვეთს, მაგალითად, წარმოდგენილია, ერთის მხრივ მთელი მსოფლიოს პრაქტიკა და გაცნობა კატეგორიების, ასევე ქართული ძალიან კომპლექსური, თუ რა როგორ იწარმოებოდა და რა მომავალი პერსპექტივებია. ამიტომ ეს ჩაშლა წარმოდგენილია ძალიან დეტალურად, თუმცა გამოთქვა საკითხების გამსხვილების მზაობა.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს აპარატი, ვიზიტამდე წინასწარ შეისწავლის პროგრამას მათი კომპეტენციის ფარგლებში, ლოგიკურია არადარგობრივ ჭრილში აპარატის მოსაზრებით, ეს პროგრამა არის დიდი განაცხადი, თავის დასახელებით, სწავლის შედეგებით, თემატიკით. დარგის ექსპერტთან პირველადი კომუნიკაციით, გარკვეული ხარვეზები ფიქსირდებოდა. ვიზიტის შემდეგ უკვე ეს ხარვეზები ,,გადაფასდა'', ასე რომ ვთქვათ. მისი აზრით, ძალიან მრავლისმომცველია ეს პროგრამა და ამ ეტაპზეც არ იზიარებს მოსაზრებას, რომ არის შესაძლებელი ამ მოცულობის პროგრამის სწავლის შედეგების ამ ვადაში მიღწევა. კიდევ ერთხელ განმარტება სთხოვა ამ ნაწილში ექსპერტს და დაწესებულების წარმომადგენელს.

საბჭოს თავმჯდომარეც დაინტერესდა რამდენად მიღწევადია ეს პროგრამა ამ დროში, რაზედაც დასესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ ამ კუთხით მან გაიარა კონსულტაციები სამხრეთ აფრიკაში, ამერიკაში და გერმანიაში, მის კოლეგებთან, რომლებიც არიან წარმომადგენლები დისტილერ-ასოცაიციის. სამწუხაროდ, საქართველოში ასოციაცია ამ კუთხით არ არსებობს ჯერჯერობით. აქედან გამომდინარე, მათთან კოსულტაციის შედეგად დადგინდა პროგრამის ხანგრძლივობა. ზოგ ქვეყანაში, მაგალითად ასეთი 6 თვიანი კურსის გავლის შემდეგ, მაგისტრატურის დიპლომს აძლევენ. შესაბამისად, ეს პროგრამა არ არის ისეთი ინტენსივობის და იმდენად დეტალურად მომცველი, რომ ამაზე ხანგრძლივი იყოს. ხანგრძლივი პროგრამა არის ძალიან გადამღლელი და აქედან გამომდინარე, მიიღო რეკომენდაცია, რომ შეიძლება ყველაზე ეფექტური იყოს ერთთვიანი კურსი. ოღონდ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მსმენელი, კურსის დასრულების შემდეგ, და ერთი თვის თავზე ემშვიდობება მას. სასწავლო პროცესის დასრულების შემდეგ ბევრი უშუალო კონტაქტი დგება. კომპანიებსაც სჭირდებათ აღზარდონ შეგირდი და ერთთვიანი პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკა და თეორია, მათ საშუალებას მისცემს, რომ ის ელემენტარული იცოდეს, რომ ოსტატი თავის საწარმოში დადგეს აპარატურასთან და ეს პროცესები წარმართოს. პროგრამას რეალურად ადამიანი მიჰყავს იმ მომენტამდე, რომ ის მართავს ამ პროცესებს. თუმცა განიხილავს მომავალში, რომ სამთვიან კურსზეც იფიქროს. მას ამავდროულად 5 დღიანი კურსებიც აქვს, რომელსაც ახორციელებს. არიან პროფესიონალი ადამიანები, ვისაც ეს სახდელი მარანი აქვს და სურთ დამატებით სხვა დონეზე, უფრო მაღლა ავიდნენ, დახელოვნდნენ. ხუთდღიანი კურსის შემთხვევაში, 4 დღე თეორიულია და მეხუთე დღეს გათვალისწინებულია პრაქტიკა, რაც ძალიან საინტერესოა მათთვის. პირადად, თვითონაც დღემდე სწავლობს ამ საქმიანობას, რადგან ამოუწურავი თემაა. მისი აზრი იყო თავიდან დაეწყო ეს პროგრამა, ერთთვიანი და შემდეგ დააკვირდებოდა, საჭიროებიდან გამომდინარე გაახანგრძლივებდა სასწავლო დროს.

ექსპერტმა დაამატა, რომ ვიზიტის დროსაც ეს პასუხი მიიღეს ამ საკითხზე. პროგრამაში მართლაც წვრილად არის საკითხები ჩაშლილი სხვადასხვა სასმელების, თუმცა ტექნოლოგიური პროცესები ძალიან მსგავსია. მათ შეეძლოთ ეს ისე გაემსხვილებინათ, რომ რაოდენობრვად მეოთხედი თემატიკა ყოფილიყო წარმოდგენილი. მთავარია ეს პროგრამა განხორციელდეს. გააჩნია, როგორ შედგება, როგორ განხორციელდება. ასეთი ინტენსიური პროგრამები უცხოეთშიც ხორციელდება და იქ, საქმისადმი მათი დამოკიდებულებიდან გამომდინარე, ყველაფერი დასაშვებია. მისი მოსაზრებით, შეიძლება ასეთი პრაქტიკოსი და ასეთი გამოცდილების მქონე ადამიანის ნდობა შეიძლება.მას თვითონაც ძალიან აინტერესებს ამ პროგრამას როგორი შედეგები იქნება, თანაც ამ პროგრამაზე გარკვეული გამოცდილებით მოდის მსმენელი, ინტერესებიც აქვს, აქვს გარკვეული საბაზო ცოდნა და უნარები, ბატონ გიორგის და მის ჯგუფს ევალება ძალიან ინტენსიური მუშაობა.

ლანა გაჩეჩილაძემ განმარტა, რომ რეალურად პროგრამა მთავრდება ერთ თვეში, სერტიფიკაცის გაცემით. კურსდამთავრებულს აღარ უნდა სჭირდებოდეს 5 დღიანი კურსის დაშენება, დამატებითი კონსულტაციები და ა.შ. პირი მზად უნდა იყოს დასაქმებისთვის. კითხვები ისევ

აქვს, მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტის მიერ ამ ნაწილში შეფასებულია როგორც დადებითი და მხარს უჭერს. მას, როგორც საბჭოს აპარატის წამომადგენელს მიაჩნია, რომ პროგრამა არ არის სათანადოდ ჩამოყალიბებული. სწავლის შედეგები ფარავს ერთი მეორეს და დუბლირება ხდება რაღაც ნაწილის, როგორც გაირკვა ამას ეთანხმება ბატონი გიორგიც. ამ ნაწილში გადასახედია, დასახვეწია პროგრამა, უნდა გამსხვილეს თემატიკები, ერთიან ჭრილში უნდა მოექცეს ალბათ, შინაარსი ამით არ იკარგება, მაგრამ არის დასახვეწი. ეს არის მისი პირადი მოსაზრება.

დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ დუბლირება აქ არის არა სხვადასხვა მიმართულებების, არამედ ხდება ცოდნის გამეორება. მათი სკოლა და გარემო არის ურთიერთობაზე აგებული და მსმენელები მათთან შემდგომშიც არ წყვეტენ კომუნიკაციას. თუმცა, ეს არ ნიშნავს რომ ერთვიან პროგრამაში, ისინი ვერ მოასწრებენ გათვალისწინებულ საკითხების გაზიარებას.

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ პროგრამის ხანგრძლივობა ერთი თვეა, თუმცა ისიც უნდა ითქვას რომ კვირეული დატვირთვა არის მხოლოდ 16 საათი. იმის გათვალისწინებით, რომ საჭირო ნედლეული სეზონურობაზე არაა დამოკიდებული და ორგანიზაცია უწყვეტად მომარაგებულია, ამით არაა განპირობებული პროგრამის შემჭიდროვებულ ვადაში სწავლება. მისი მოსაზრებით 64 საათი ძალიან მცირეა და ჯობდა ცალ-ცალკე შემუშავებულიყო მცირე პროგრამები, რაც ერთთვიანი ან ორთვიანი იქნებოდა, ეს მისი პირადი მოსაზრებაა, არა დარგობრივი კომპეტენციის მქონე პირის, არამედ - როგორც ცენტრის წარმომადგენლის.

ნანი დალაქიშვილმა დააფიქსირა თავისი მოსაზრება. ადმინისტრაციული წარმოების სპეციფიკა ისეთია, რომ ცენტრიც წინასწარ ყველაფერს სწავლობს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გულისხმობს, სადაც განაცხადი შემოდის. ბევრი კითხვები გაუჩნდა მასაც, თუნდაც ის, რაც ახლა რამდენჯერმე ბრძანა დაწესებულების წარმომადგენელმა, ხორბლეული კულტურებისგან გამოხდა საერთოდ არ არის აღნიშნული პროგრამაში. მხოლოდ ხილისგან გამოხდაზეა საუბარი. ასევე, პირველი შედეგი და თემატიკა ცალსახად არ არის ერთმანეთთან შესაბამისობაში. შენიშნა, რომ ექსპერტის, ქალბატონი თეას კომპეტენციაში, რა თქმა უნდა ეჭვი არ ეპარება, მისი დასკვნა დადებითია ცალსახად. ეს დადებითი დასკვნა საბჭოს აპარატმა წარუდგინა საბჭოს, თუმცა საბჭოს სხდომაზე პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სახელით აფიქსირებს, რომ პირველი/პროგრამის სტანდარტის შეფასების ნაწილში ბოლომდე არ ეთანხმება ესქსპერტს. ცალსახად, ამას არ სჭირდება დარგის სპეციალისტი, რომ პირველი შედეგია ,,ნაყენების დამზადება მაგარი ალკოჰოლური სასმელების დამზადებისთვის'', თუმცა თემატიკაში საერთოდ საუბარი არ არის ნაყენებზე. ინგლისურენოვანი ლიტერატურა, სავსებით მისაღები იქნებოდა, თუ დაშვების წინაპირობაში ექნებოდათ უცხო ენის ცოდნის რაღაც დონე მითითებული. ეს ისეთი ნიუანსებია, კარგი კონსულტაცია რომ გაევლო ორგანიზაციას განაცხადის შემოტანამდე, ალბათ თავიდან აიცილებდა ამ უზუსტობებს.
რაკი საბჭოს აპარატმა წარმოადგინა საბჭოზე ექსპერტის დასკვნა, ითვლება, რომ ეთანხმება ექსპერტს, თუმცა საბჭოზე აპარატის განსხვავებული მოსაზრების დაფიქსირება საჭიროდ ჩავთვალეთ, განაცხადა ნანი დალაქიშვილმა, რათა აპარატის მონაწილეობა ამ წარმოებაში სრულყოფილი იყოს. თავისთავად ცხადია, საბჭოს სამსჯელოა ეს საკითხი.

ნინო ტალიაშვილს კიდევ ერთხელ უნდოდა მოსმენა ექსპერტისგან, თემატურად რამდენად არის პროგრამა გადატვირთული. მას აინტერესებდა ექსპერტის მოსაზრება, რამდენად რეალურია ყველა შედეგზე გასვლა და ხომ არ ექნებოდა რეკომენდაცია ამასთან დაკავშირებით, ასევე, ხომ არ არის საქმე ერთ ან ორ გადამზადების პროგრამასთან, რომელიც არის გაერთიანებული და ერთ პროგრამად წარმოდგენილი - რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, კარგი

იქნებოდა, რომ ეს პროგრამა ჩაშლილი იყოს ორ კი არა ოთხ პროგრამადაც. თუმცა სპეციფიკას, მიწოდების მოცულობას და პრაქტიკული ნაწილის მიწოდებას გააჩნია. შენიშნა, რომ სანამ ბატონ გიორგის შეხვდებოდა, იყო ბევრი კითხვა და სკეპტიკური განწყობაც, ვინაიდან ქაღალდზე გადმოტანილი თავისი კვალიფიციურობის, თავის თანმიმდევრობით, თავისი შინაარსობრივი წყობით, ბევრად აცდენილია იმასთან მიმართებით, რასაც ბატონი გიორგი რეალურად გვესაუბრება და გეგმავს. მას ეს პროგრამა სრულად აქვს წარმოდგენილი თავისი შედეგებით და ამ შედეგებზე ორიენტირებული თემატიკით, ეს მართლაც კვალიფიციური რესურსია, პროგრამის განსახორციელებლად. ექსპერტს მიაჩნია, რომ მას აქვს ისეთი განათლება, ცოდნა და უნარები, რომ თავს მოუყრის და ფოკუსირებას გაუკეთებს ამ მასალას ამ დროში, მოცემული საათების რაოდენობაში, შესაბამისი მოცულობით, შესაბამისი ოდენობით, შესაბამის აუდიტორიასთან. ეს გვაძლევს ნდობის საფუძველს და პერსპექტივას, რომ შესაძლებელია ეს პროგრამა განხორციელდეს და შედეგებზე გავიდეს.

ნინო ტალიაშვილი ჩაეკითხა ექსპერტს, აღნიშნა, რომ ეჭვი არ ეპარება ბატონი გიორგი ძალიან კვალიფიციური ადამიანია, თუმცა როგორც ირკვევა დოკუმენტი, რაც შევისწავლეთ, უფრო ნაკლებ გვაძლევს ამის ვარაუდის საშუალებას, ანუ, ერთია რაც წერია და მეორე როგორ წარიმართება თვითონ სასწავლო პროცესი და როგორ სრულდება. ანუ საბჭო უნდა დაეყრდნოს ნდობას.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ ორგანიზაციას მიეცა რეკომენდაციები და ამ რეკომენდაციების შესრულება ნდობას ეფუძნება თუ მონიტორინგს, ეს საბჭოს სამსჯელოა.

ამ რეკომენდაციებიდან გამომდინარე, ნინო ტალიაშვილი დაინტერესდა, გარკვეულწილად სწავლის შედეგების მოდიფიცირებას ხომ არ გამოიწვევდა ეს ცვლილებები, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, რომ სწავლის შედეგების მოდიფიცირებას ნამდვილად არ გამოიწვევს. უნდა დაკორექტირდეს, თემებია ძალიან ჩაშლილი და ხანდახან დუბლირებული და ზოგ შემთხვევაში სხვაგან წერია სწავლის შედეგი, მაგრამ ამ ყველაფერს ორგანიზაციის დირექტორი აცნობიერებს. ნინო ტალიაშვილმა იკითხა პროგრამაში იმაზე მეტია თუ არა თემატიკა, რაც საჭიროა ერთთვიან პროგრამაში. აღნიშნულს ექსპერტი დაეთანხმა, და უპასუხა, რომ თემატიკა უფრო მეტია, ამიტომ მიეცა რეკომენდაცია თემატურად გაემსხვილებინა საკითხები.

საბჭომ გამოიყენა სათათბირო დრო.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, რომ საბჭოსთვის მისაღებია მათი პროგრამა, განაცხადი, უბრალოდ რადგან დაისვა კითხვები პროგრამის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით, სწავლის შედეგებთან მიმართებით, საბჭომ იმსჯელა და გადაწყვეტილება მიიღო, რომ მიეცეს დაწესბულებას ერთი თვე ხარვეზის გამოსასწორებლად. ეს არ არის დიდი დრო და იმედია დაწესებულება გამოასწორებს, რასაც დაეთანხმა დაწესებულების წარმომადგენელი.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დაწესებულებისათვის ხარვეზის გამოსასწორებლად ერთთვიანი ვადის მიცემის შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:

მიეცეს დაწესებულებას ხარვეზის გამოსწორების საშუალება პროგრამასთან დაკავშირებით ერთი თვის ვადით.

2. შპს - „ქართული ღვინის გილდიის“პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

ლანა გაჩეჩილაძემ აღნიშნა, რომ საბჭოს სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული მეორე და მესამე საკითხები ეხება შესაბამის გადაწყვეტილებებში მისამართის ცვლილებას. შპს - „ქართული ღვინის გილდიამ'' მისამართი (ფართი) შეიცვალა ქვეყანაში დადგენილი ახალი რეგულაციების მოთხოვნებიდან გამომდინარე, რომლის თანახმად ახალი კორონავირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად საჭიროა დახურულ სივრცეში დისტანციის დაცვა.

საბჭოს სხდომაზე საკითხი წარადგინა ექსპერტმა თეა მახათელაშვილმა. ვიზიტი განხორციელდა 2020 წლის 17 სექტემბერს, ახალ ლოკაციაზე. თბილისში, ქიაჩელის N 28-ში, სადაც განხორციელდება ორი პროფესიული გადამზადების პროგრამა: ,,ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია“ და ,,ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები“. ვიზიტის მიზანს ამ შემთხვევაში წარმოადგენდა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის დათვალიერება. მან საბჭოზე წარადგინა ფოტოები. აუდიტორიის ფოტო, ევაკუაციის გეგმა და სხვ. ამ შემთხვევაში, ხარვეზი რათქმა უნდა არ დაფიქსირებულა და არც რეკომენდაცია გაცემულა.

ადგილზე მოხდა მატერიალური რესურსის დათვალიერება, მოხდა შეხვედრა ადამიანურ რესურსთან, დოკუმენტაციის გაცნობა.

ადგილზე ინახა, რომ მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მწყობრშია და შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტს. კერძოდ, მათ გაფორმებული აქვთ იჯარის ხელშეკრულება ფართის მფლობელთან, რომელიც საჯარო რეესტრში არის დარეგისტრირებული. 120 კვ. მეტრის ფართში არის ორი სასწავლო აუდიტორია, რომლებიც აღჭურვილია მაგიდებით, სკამებით, ღვინის ბიბლიოთეკით, სინჯებით, მასალებით. ექსპერტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული მატერიალური რესურსი მას უკვე ნანახი ჰქონდა პროგრამის წინა ლოკაციაზე და ეს მატერიალური რესურსი გადმოტანილი აქვთ ახალ ფართში. სიახლეა ის, რომ ახალი ვირუსის გავრცელების თავიდან ასაშორებლად, მსმენელების ადგილებს შორის დისტანციები არის დაცული და მოთხოვნილ რეგულაციებთან არის შესაბამისობაში.

პროგრამის მსმენელთათვის სასწავლო რესურსი მორგებულია მათ საჭიროებებზე, აქვთ სახელმძღვანელოები, ელექტრონული ვერსიები. როგორც წინა შემთხვევაში, დასკვნაში იყო, ამ სახელმძღვანელოების ავტორები თვითონ არიან პროგრამის განმახორციელებლები.

უსაფრთხოებას რაც შეეხება, მათ წარმოდგენილი აქვთ როგორც შენობის მდგრადობის, ასევე, სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნაც. აქვს სტანდარტის შესაბამისად განლაგებული და მოწყობილი სახანძრო უსაფრთხოების დაფა თავისი აღჭურვილობით.

არის რამე, რაც თქვენ არ მოგეწონათ და რაც არ არის მისაღები, იკითხა საბჭოს თავმჯდომარემ, რაზედაც ექსპერტმა უპასუხა, ამ შემთხვევაში ვერ იტყვის, რომ ასეთი იყო. არის ძალიან გამართული ბაზა, ძალიან გამართული კვალიფიკაცია, წინარე გამოცდილება.

საბჭოს ხელმძღვანელმა კენჭისყრაზე დააყენა შპს - „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლები მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს ,,შპს „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ” პროფესიულ მომზადე-ბის/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337125 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 1).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 2 ოქტომბერი.

3. შპს - „ქართული ღვინის გილდიის“პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხის განხილვა;

საბჭოს თავმჯდომარემ დააყენა შპს - „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს 2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში ცვლილების შესახებ საკითხი

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე: 8
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

ცვლილება განხორციელდეს ,,შპს „ქართული ღვინის გილდიის“ პროფესიული მომზადების პროგრამის განხორციელების უფლების მოპოვების შესახებ” პროფესიულ მომზადე-ბის/გადამზადების პროგრამების განხორციელების უფლების მიმნიჭებელი საბჭოს

2020 წლის 13 აპრილის №337145 გადაწყვეტილებაში, კერძოდ გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით **(დანართი 2).**
გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღად განისაზღვროს 2020 წლის 2 ოქტომბერი.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგეგ, 17:50 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
პროფესიული მომზადების
პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ქუჩულორია მარიამ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი / პროფესიული მომზადების/პროფესიული გადამზადების პროგრამების უფლების მიმნიჭებელი საბჭო
საბჭოს მდივანი
ტალიაშვილი ნინო

დანართი 1

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
0000425	ღვინის წარმოების ქართული ტრადიციული ტექნოლოგიები	პროფესიული გადამზადება	მეხუთე	19	ქართული	21	თბილისი, ლ. ქიაჩელის №28

დანართი 2

პროგრამის კოდი	პროგრამის დასახელება	პროგრამის სახე	ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე	პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში	სწავლების ენა	მსმენელთა ზღვრული რაოდენობა	პროგრამის განხორციელების ადგილი
0000424	ღვინისა და ყურძნისეული წარმოშობის ალკოჰოლური სასმელების დეგუსტაცია	პროფესიული გადამზადება	მეოთხე	12	ქართული	21	თბილისი, ლ. ქიაჩელის №28